ხელშეკრულება №29

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(34300000 ნაწილები და აქსესუარები სატ. საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის)

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2013წლის 08 ოქტომერი ქ. თბილისში
ხელშეკრულება მოქმედებს 2013 წლის 08 ნოემბერი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მესამე მუხლის 1-ლი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის საფუძველზე ერთის მხრივ შემსყიდველი – პარლამენტის მაჟორიტარი წევრის - ვახტანგ ხმალაძის ბიურო მისი უფროსის თეიმურაზ გიორგაძის სახით ქ. თბილისი, დ.აღმაშენებლის 140ა, საქ.ბანკი ანგ. № GE42BG0000000455504100, ს/კ 202467179 და მეორეს მხრივ მიმწოდებელი – შპს „ჯაბტGBAT" მისი დირექტორის თეიმურაზ ფუტკარაძის სახით, მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. N 77, საქართველოს ბანკი GE24BG0000000347282300, ს/კ. 404407628 ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი:

1.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ქვემოთ მითითებული საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

№	საქონლის დასახელება	განზ.ერთ	რაოდენობა	ერთ.ფასი	ჯამი
1	31400000 აკუმულატორები,დენის პირველადი წყაროები და პირველადი ელემენტები	ცალი	1	130,00	130,00

2. ხელშეკრულების ფასი:

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს:

130 (ასოცდაათ) ლარი.

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

2.2. ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადებს.
2.3. ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე და კანონით გათვალისწინებული პირობებით.

3. ხარისხი:

3.1. მიმწოდებელის მიერ მოწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების პირობებს.

4. ანგარიშსწორების წესი:

4.1. შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის თანხა შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის, სასაქონლო ზედნადების და მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან ერთი კვირის მანძილზე უნაღდო ანგარიშსწორებით ლარებში.

5. კონტროლი, მიწოდების ვადა, წესი და ადგილი:

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი განახორციელებს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ა/წლის 08 ნოემბერი მიმწოდებლის იურიდიულ მისამართზე.
5.2. საქონლის ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს შემსყიდველი საკუთარი ხარჯებით.
5.3. მიმწოდებელი ვალდებულია საქონლის მიწოდებისას უზრუნველყოს თანხლები დოკუმენტაცია.
5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მიწოდების დროს ჩაატაროს საქონლის შემოწმება/კონტროლი, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს: 08 დიდუბის საარჩევნო ოლქის პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის - ვახტანგ ხმალაძის ბიუროს უფროსი თეიმურაზ გიორგაძე

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა: ----------

5.5. მიმწოდებელი პასუხს აგებს მიწოდებული საქონლის ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ საქონლის გადაცემისთანავე აღმოჩნდება უხარისხო (წუნდებული) საქონელი შემსყიდველი უფლებამოსილია წარუდგინოს მიმწოდებელს დასაბუთებული რეკლამაცია, რის შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია 3 დღის განმავლობაში ან გამოცვალოს წუნდებული საქონელი ან ამავე ვადებში დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება.
5.6. შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი დაგვიანებით მიწოდებული, ან უხარისხო (წუნდებული), ან არასათანადოდ შეფუთული, ან არასრული მოცულობით წარმოდგენილი თანხლები დოკუმენტაციის მქონე საქონლის მიღებაზე.
5.7. საქონლის გადაცემამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის და რისკები მისი შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან რაიმე ზიანზე ეკისრება

მიმწოდებელს, ხოლო გადაცემის მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.
5.8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ხდება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

6. მხარეთა ურთიერთვალდებულებები და პასუხისმგებლობა:

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0,2 %-ის ოდენობით.
6.2. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შეასრულოს უნაკლოდ.
6.3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს გამყიდველს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრუ-ლებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

7. ფორს-მაჟორი:

7.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როცა რომელიმე მხარე ვერ მოახერხებს თავისი მოვალეობის შესრულებას ფორს-მაჟორული მოვლენების ზემოქმედების გამო.

7.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობის და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. ინტერესთა კონფლიქტი

8.1. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი და უფლებამოსილი პირი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერებით ადასტურებენ, რომ მათი მონაწილეობა შესყიდვაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

9. სხვა პირობები:

9.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის შემდეგ.

9.2. მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სასამართლო.

9.3. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

9.4. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

წინამდებარე ხელშეკრულება დაბეჭდილია ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო მეორე მიმწოდებელს.

შემსყიდველი:

08 დიდუბეს საარჩევნო ოლქის პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის - ვახტანგ ხმალაძის ბიუროს უფროსი:

თეიმურაზ გიორგაძე:

მიმწოდებელი:

შპს „ჯბატGBAT”

დირექტორი: თეიმურაზ ფუტკარაძე

მიღება-ჩაბარების აქტი №29

ქ. თბილისი

09 ოქტომერი 2013 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთი მხრივ 08 დიდუბის საარჩევნო ოლქის პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის ვახტანგ ხმალაძის ბიუროს უფროსი თეიმურაზ გიორგაძე და მეორე მხრივ – შპს „ჯბატGBAT" მისი დირექტორი თეიმურაზ ფუტკარაძე თანახმად მიმდინარე წლის 08 ოქტომერს დადეული N29 ხელშეკრულებისა, ვადგენთ აქტს შემდეგზე,რომ შპს „ჯბატGBAT" – მა მიაწოდა შემსყიდველს შემდეგი სახის საქონელი

№	საქონლის დასახელება	განზ.ერთ	რაოდენობა	ერთ.ფასი	ჯამი
1	31431000 ტყვიამჟავური აკუმულატორები	ცალი	1	130,00	130,00
				სულ:	130,00

მიწოდებული საქონლის საერთო ღირებულებაა 130 ლარი.
ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 130 ლარი.

რაზედაც ხელს ვაწერთ:

08 დიდუბის საარჩევნო ოლქის პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის-
ვახტანგ ხმალაძის ბიუროს უფროსი:
თეიმურაზ გიორგაძე

შპს „ჯბატGBAT"

დირექტორი:
თეიმურაზ ფუტკარაძე